ტრინაციონალური საზაფხულო უნივერსიტეტი „ციფრული კულტურები“

ზაარბრიუკენი - 29.08.–03.09.2016
ნანტი - 04.09. - 09.09.2016
თბილისი - 2017 წ. გაზაფხული/ზაფხული

თსუ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ-ს, ზაარლანდისა (გერმანია) და ნანტის (საფრანგეთი) უნივერსიტეტების ერთობლივ საზაფხულო უნივერიტეტში „ციფრული კულტურები“ მონაწილეობისათვის, რომელიც **ა/წ. 29 აგვისტოდან 09 სექტემბრამდე** გაიმართება ზაარბრიუკენსა და ნანტში, ხოლო 2017 წელს თბილისში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ **თსუ ჰუმანიტარულ, სოციალურ პოლიტიკურ და იურიდიული ფაკულტეტების, ისევე როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის: კომპიუტერული მეცნიერებების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმაციული სისტემების, მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის, გამოყენებითი ფიზიკის და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებების** ბაკალავრიატის VI, VII სემესტრის, **მაგისტრატურის** და **დოქტორანტურის** აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს და ახალგაზრდა მკვლევარებს (პოსტდოქტორანტებს), **რომლებიც სრულყოფილად ფლობენ გერმანულ და /ან ფრანგულ ენას.**

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – ელექტრონული რეგისტრაცია
II ეტაპი – გასაუბრება

კონკურსზე ელექტრონილად დარეგისტრირების ბოლო ვადაა: 2016 წლის 22 ივნისი, 23:00 საათი

კონკურსის II ეტაპი (ზეპირი გასაუბრება) გაიმართება (სავარაუდოდ) 2016 წ. ივნისის მეორე ნახევარში

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://dfronline.tsu.ge/

თსუ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- CV - გერმანულ / ან ფრანგულ ენაზე
- მოტივაციის წერილი - გერმანულ / ან ფრანგულ ენაზე
- რეკომენდაციის წერილი - ქართულ და გერმანულ / ან ფრანგულ ენაზე (რეკომენდატორის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (ეხებათ მხოლოდ მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს!)
- პასპორტის ასლი
- გერმანული / ან ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი (სერტიფიკატი, ცნობა და ა.შ.)

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

საიტლიკაციო ფორმასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს!